# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ზ-337096/07

"04" 11 2016 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, სექტორი (დიდუბე), დიდი დიღომი-გლდანის მაგისტრალსა და ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე (საკ. კოდი №01.13.01.004.099) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (შერეული ფუნქციის (სავაჭრო, კომერციული, საოფისე) ობიექტი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №1604967 20.11.2014წ.

სამსახურის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, სექტორი (დიდუბე), დიდი დიღომი-გლდანის მაგისტრალსა და ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

„5-1“ ფასადი: „4-3“ მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟების რაოდენობა და მონაცვლებული აქვთ ადგილი. „3-2“ მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტები და ნახატი, ასევე ფასადზე არ არის ნაჩვენები ლესვის ხაზი. აღნიშნული ვიტრაჟი და კედლის ნაწილი გამოწეულია ფასადის სიბრტყიდან. „3-2“ მონაკვეთში გაზრდილია კარის გაბარიტები და შეცვლილია მისი ნახატი. „5-4“ მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტები და ნახატი. ასევე ვიტრაჟი გამოწეულია კედლის სიბრტყიდან. „4-3“ მონაკვეთში შეცვლილია კიბის საფეხურების და ბაქნის ფორმა და გაბარიტები, ასევე გაუქმებულია კიბის ერთი საფეხური.

„ა-ე“ ფასადი: „გ-დ“ მონაკვეთში შენობის მთელ სიმაღლეზე გაუქმებულია ვიტრაჟები. „ბ-გ“ მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟების რაოდენობა და მონაცვლებული აქვთ ადგილი. „ა-ბ“ მონაკვეთში და „ა-ა“ ღერძის გარეთ შეცვლილია ვიტრაჟის ფორმა, გაბარიტები და ნახატი. +8.00 ნიშნულზე „ა-ბ“ მონაკვეთში შეცვლილია ვიტრაჟის ნახატი. „დ-დ“ ღერძის მიმდებარედ +11.30 ნიშნულზე პროექტში არ არის ნაჩვენები კედლის ტეხვა.

„ე-ა“ ფასადი: +10.00 ნიშნულზე „ა-ა“ ღერძის გარეთ გისოსის ნაცვლად მოწყობილია კედელი. ფასადი ნაწილობრივ შესაღებია და დამატებულია წყალშემკრები მილები. „დ-ა“ მონაკვეთში დამატებულია სავენტილაციო ღიობი. „დ-დ“ ღერძის მიმდებარედ +11.30 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია საჰაეროები დაფარული თუნუქით, ასევე ლიფტის სამანქანოს კედელზე დამატებულია ანტენა. „ე-ე“ ღერძის გარეთ ბაქნის ძირი მოსაპირკეთებელია.

„1-5“ ფასადი: „4-5“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის კონსტრუქცია დაფარული ბეტოპანით. ფასადზე დამატებით მოწყობილია რიგელები. ფასადზე შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტები, ნახატი და მონაცვლებული აქვთ ადგილი. ფასადზე არ არის მოწყობილი ალუმინის ჟალუზი. „4-5“ მონაკვეთში ±0.00 ნიშნულზე კარის გარშემო შეცვლილია მოპირკეთების გაბარიტები და ნახატი, ასევე კარს მონაცვლებული აქვს

ადგილი. „1-3“ მონაკვეთში კონსოლს და ტერასის ფილას შორის სივრცე შევსებულია და მოწყობილია მოპირკეთება. ფასადზე ვიტრაჟს მონაცვლებული აქვს ადგილი, რითაც შეცვლილია შენობის შიდა ფართი და „3-3“ ღერძზე არსებული სვეტი მოქცეულია შენობის შიდა სივრცეში. +11.30 ნიშნულზე, ორფრთიანი კარის ნაცვლად მოწყობილია ერთფრთიანი და შეცვლილია მისი გაბარიტები. „3-4“ მონაკვეთში დამატებულია საჰაერო. +8.00 ნიშნულზე, შეცვლილია ლითონის მოაჯირის ნახატი და ფერი.

შეცვლილია ფასადების ღებვის ფერი. შენობის ძირში დამატებით მოწყობილია ქვით მოპირკეთება. შენობაში დამატებულია რიგელები.

-3.50 ნიშნულზე: შემცირებულია კედლების სისქე. „დ-დ“ ღერძის გარეთ შეცვლილია პანდუსის და პანდუსის კედლების ფორმა, გაბარიტები და შეცვლილია პანდუსის დახრა. პანდუსი და პანდუსის კედელი სცდება საკადასტრო საზღვრებს. პანდუსის კედლებზე დამატებით მოწყობილია ლითონის მოაჯირი. „დ-დ“ ღერძზე „3-2“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია საყრდენი კედელი. „დ-დ“ ღერძზე კოლონებს მონაცვლებული აქვთ ადგილი და გაუქმებულია ერთი კოლონა. „ე-ე“ ღერძის მიმდებარედ პანდუსზე დამატებულია წყალშემკრები არხი.

±0.00 ნიშნული: „ა-ა“ ღერძის მიმდებარედ ვიტრაჟის მონაცვლებით შეცვლილია შენობის შიდა ფართი, ასევე შეცვლილია ვიტრაჟის ფორმა და გაბარიტები. „ა-ა“ ღერძის გარეთ შეცვლილია ბაქნის, კიბის საფეხურების და შ.შ.მ პირთა გადაადგილებისთვის განკუთვნილი პანდუსის გაბარიტები, ასევე შეცვლილია კიბის საფეხურების ფორმა. „ა-ა“ და „1-1“ ღერძების მიმდებარედ შეცვლილია კედლის სისქე და გაბარიტები. გაზრდილია სართულის სიმაღლე 0.6 მ-ით, რითაც გაზრდილია შენობის სიმაღლე. „დ-დ“ ღერძის გარეთ „5-4“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ტექნიკური ორმო. „ა-ა“ ღერძის გარეთ მონოლითური კოლონების ნაცვლად მოწყობილია ლითონის კოლონები.

+4.00 ნიშნულზე, „ბ-ა“ მონაკვეთში „1-1“ ღერძის გარეთ გაზრდილია ფილის გაბარიტები, ასევე ვიტრაჟს მონაცვლებული აქვს ადგილი და შეცვლილია მისი გაბარიტები. „ა-ა“ ღერძის მიმდებარედ შეცვლილია ვიტრაჟების გაბარიტები და შეცვლილია შენობის შიდა ფართი. „3-5“ მონაკვეთში „ა-ა“ ღერძის გარეთ შეცვლილია აივნის გაბარიტები, ასევე „1-3“ მონაკვეთში შეცვლილია კონსოლის გაბარიტი.

+8.00 ნიშნულზე „3-5“ მონაკვეთში „ა-ბ“ ღერძებს შორის ტერასის ნაწილზე ბალახის საფარის ნაცვლად მოწყობილია ფილებით მოპირკეთება.

+11.30 ნიშნულზე, „გ-დ“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია სავენტილაციო შახტა. „4-3“ მონაკვეთში შეცვლილია ლიფტის სამანქანოს ფილის გაბარიტები და დამატებულია კიბის საფეხურები, ასევე დამატებულია ლითონის სვეტები. „დ-გ“ მონაკვეთში კედლის მონაცვლებით გაზრდილია სამანქანოს ფართი 3.5 მ-ით. „ა-ა“ ღერძის გარეთ შეცვლილია საჩრდილობლის ნახატი, ხოლო „ა-ა“ და „1-1“ ღერძების კვეთასთან დამატებულია თუნუქით გადახურვა.

შენობაში „დ-ე“ მონაკვეთში ლიფტი და კიბის უჯრედი მონაცვლებულია „5-5“ ღერძისკენ, რითაც შეცვლილია კოლონების რაოდენობა და მდებარეობა, ასევე „5-4“ მონაკვეთში შემცირებულია ვიტრაჟის სიგანე 1მ-ით. ±0.00, +4.00 და +8.00 ნიშნულებზე „ბ-გ“ მონაკვეთში პროექტით გათვალისწინებულ კიბეს მონაცვლებული აქვს ადგილი და მოწყობილია „ბ-ა“ მონაკვეთში, ასევე შეცვლილია კიბის კონფიგურაცია და საფეხურების რაოდენობა. შენობაში ნაწილობრივ შეცვლილია კოლონების რაოდენობა, ფორმა, გაბარიტები და მონაცვლებული აქვთ ადგილი. შენობის შიგნით კიბის უჯრედებში არ არის დასრულებული მოაჯირების მოწყობა. შენობაში „დ-ა“ მონაკვეთში შეცვლილია კედლის დახრა. „2-2“ და „გ-გ“ ღერძების კვეთაზე გაუქმებულია კოლონა. შენობის სახურავზე დამატებით მოწყობილია ფილებით მოპირკეთება. შენობის გარეთ შეცვლილია ბაქნის, კიბის საფეხურების და პანდუსის მოპირკეთება. სახურავზე დამატებით მოწყობილია დანადგარები. „ე-დ“ მონაკვეთში შენობაში შეცვლილია კიბის ფორმა და საფეხურების რაოდენობა.

ტერიტორიის კეთილმოწყობა არ არის შესრულებული. „5-5“ ღერძის მიმდებარედ დამატებულია ცოკოლზე მოწყობილი ლითონის ღობე, რომელიც სცდება პროექტში ნაჩვენებ განაშენიანების რეგულირების ხაზს. შენობას მონაცვლებული აქვს ადგილი.

დამკვეთის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ლიფტის გამოცდის აქტი.

ზ.ა.კ. VI-ე თავის, 83-ე, მუხლის ა.ს.კ. მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-5 პუნქტის ”გ” ქვეპუნქტის, 99-ე მუხლის 1-ლი პუნქტის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005წ. №140-ე დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „კ” ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ” ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „გ” ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს „ბელო და კომპანია“-ს, ქ. თბილისში, სექტორი (დიდუბე), დიდი დიღომი-გლდანის მაგისტრალსა და ბელიაშვილის ქუჩის გადაკვეთაზე (საკ. კოდი №01.13.01.004.099) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (შერეული ფუნქციის (სავაჭრო, კომერციული, საოფისე) ობიექტი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.

2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**საფუძველი:** №337096/07 19.09.2016წ. განცხადება.
№წ-337096/07 23.09.2016წ. ბრძანება.

**სამსახურის უფროსის მოადგილე** გიორგი გეგეჭკორი